საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №75

2019 წ. "28" 03

ქ.თბილისი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
გიორგი ამილახვარი

მდივანი
ნინო ლიპარტია